

წესები და პირობები

წინამდებარე წესები და პირობები არეგულირებს შპს „ბი ელი“-ს (შემდგომში - „ჩვენი“) კუთვნილი ვებ-გვერდით - www.beautylab.ge (შემდგომში “ვებ-გვერდი”) სარგებლობის პროცესს. ვებ-გვერდით სარგებლობით, თქვენ ეთანხმებით წინამდებარე წესებს და პირობებს და ადასტურებთ, რომ თქვენ მიერ მონოღებული თქვენი და მესამე პირების პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება განხორციელდება ვებ-გვერდის კონფიდენციალობის პოლიტიკის შესაბამისად.

ჩვენი ვებ-გვერდი განკუთვნილია სილამაზის სალონების, ესთეტიკური ცენტრებისა და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებებისთვის (შემდგომში - „დაწესებულება“) და უზრუნველყოფთ სისტემით, რომელიც გაძლევთ საშუალებას მართოთ თქვენი ბიზნესი, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შეკვეთების, პერსონალის, სერვისებისა და შემოსავლების მართვით. ვებ-გვერდი დაკავშირებულია შპს „ბი-ელი“-ს კუთვნილ მობილურ აპლიკაციასთან - „Beauty Lab App“ (შემდგომში - „მობილური აპლიკაცია“), და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ავტომატურად აისახება მობილურ აპლიკაციაში, ისე როგორც ეს წინამდებარე წესებში და პირობებში და ჩვენი კონფიდენციალობის დებულებაშია აღწერილი. ვებ-გვერდზე რეგისტრაციით თქვენ თანხმდებით, რომ ისარგებლებთ მობილური აპლიკაციის სერვისებითაც.

1. ვებ-გვერდით სარგებლობა

- 1.1.** ჩვენი მომსახურებით დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ჩვენსა და თქვენს შორის გაფორმებული შეთანხმება მომსახურების განწვევის შესახებ.
- 1.2.** შეთანხმების დადების შემდგომ, ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობისთვის საჭიროა გაიაროთ რეგისტრაცია. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და შესაბამისი გამამკვლევია თან სდევს ყოველი ეტაპის დასრულებას.
- 1.3.** მას შემდეგ რაც დაასრულებთ რეგისტრაციის პროცესს, ჩვენ გადავხედავთ თქვენს ანგარიშს და მოგცემთ ავტორიზაციას იმისთვის, რომ თქვენი შესაბამისი მონაცემები აისახოს მობილურ აპლიკაციაში.
- 1.4.** ვებ-გვერდის მეშვეობით თქვენ ადგენთ თქვენი დაწესებულების (ისევე როგორც მისი ცალკეული ფილიალების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მუშაობის განრიგს, დეტალურად განერთ თქვენ მიერ შემოთავაზებულ სერვისებს და ქმნით პერსონალის ერთიან ბაზას. თქვენ მიერ შეყვანილი საჯარო მონაცემები, როგორც ეს ამ დოკუმენტში და ჩვენს კონფიდენციალობის დებულებაშია აღწერილი, ავტომატურად აისახება მომხმარებლებისთვის განკუთვნილ მობილურ აპლიკაციაში.
- 1.5.** ვებ-გვერდი გაძლევთ შესაძლებლობას მიიღოთ მობილური აპლიკაციით ავტომატურად ასახული ან სხვა საშუალებით შემოსული შეკვეთები/ჯავშნები, მართოთ განრიგი და აკონტროლოთ შემოსავლები.

2. მობილური აპლიკაცია

- 2.1.** აპლიკაცია წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც მის მომხმარებელს აძლევს საშუალებას: ერთ სივრცეში იხილოს სილამაზის სალონები, ესთეტიკის ცენტრები და სხვა სილამაზისა და ველნესის დაწესებულებები, რომლებიც ოპერირებენ მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქალაქში; გაეცნოს მათ მიერ შემოთავაზებულ მომსახურებებს და ელექტრონულად

დაჯავშნოს სასურველი სერვისის სასურველ დაწესებულებაში. მომხმარებელს ასევე შეუძლია, აპლიკაციის მეშვეობით დაჯავშნილი სერვისის მიღების შემდეგ, აღნიშნული სერვისის საფასური, სურვილის შემთხვევაში, გადაიხადოს ელექტრონულად, აპლიკაციის მეშვეობით.

2.2. თქვენი მონაცემები აპლიკაციაში აისახება როგორც თქვენთვის განკუთვნილ პირად გვერდზე, ისე აპლიკაციის სხვადასხვა გვერდებზე ძიების შედეგებიდან გამომდინარე. თქვენს პირად გვერდზე ასახულია თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია და სამუშაო საათები, თქვენ მიერ განთავსებული ფოტოები, სერვისების ჩამონათვალი, სერვისების ღირებულება, მომსახურე პერსონალი (სპეციალისტები), დაწესებულების განრიგი თავისუფალი დროებით, თქვენი გადანაცვლებით თქვენ მიერ განთავსებული სიახლეები და შეთავაზებები და დაწესებულების რეიტინგი.

3. გარანტიები და ჩვენი პასუხისმგებლობა

3.1. ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას მობილური აპლიკაციის კლიენტების მონაცემების სისწორეზე, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ინფორმაციის აპლიკაციაში განთავსება ხდება თავად მომხმარებლების მიერ. თუმცა, მადლიერები ვიქნებით, თუკი თქვენ შეგვატყობინებთ აპლიკაციის კლიენტების მონაცემების ნებისმიერი სახის უზუსტობასთან დაკავშირებით.

3.2. ჩვენ არ გვეკისრება პასუხისმგებლობა მობილური აპლიკაციის კლიენტების მოუსვლელობაზე, დაგვიანებაზე ან/და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის პრობლემაზე.

3.3. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჩვენი პროდუქტების გამართულ მუშაობაზე და გამოვთქვამთ მზაობას, შესაძლებლობის ფარგლებში, დროულად და სრულყოფილად აღმოვფხვრათ ნებისმიერი სახის შეფერხება/ხარვეზი.

4. შეკვეთები

4.1. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით მართოთ როგორც მობილური აპლიკაციიდან მიღებული შეკვეთები, ისე სხვა წყაროებიდან მიღებული თქვენი ინდივიდუალური შეკვეთები.

4.2. ჩვენ უბრუნველვყოფთ, რომ მობილური აპლიკაციიდან მიღებული შეკვეთები ავტომატურად აისახებოდეს თქვენს ინდივიდუალურ განრიგში (კალენდარში). სხვა წყაროებიდან მიღებული შეკვეთების ასახვა განრიგში ხდება მანუალურად, უშუალოდ თქვენ მიერ.

4.3. აპლიკაციის მომხმარებლის მიერ ჯავშნის მოთხოვნა განხილული იქნება როგორც მისი ოფერი სერვისის მიღების შესახებ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ჯავშანი აისახება თქვენს ინდივიდუალურ განრიგში, თქვენსა და მომხმარებელს შორის დადებულად ჩაითვლება გარიგება სერვისის მიწოდების შესახებ. თქვენ ვალდებული ხართ, ჯავშნის რომელიმე პირობის (მაგ: თარიღ და დრო, სპეციალისტი, მომსახურების ტიპი) ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ მომხმარებელს და ამ უკანასკნელის გადანაცვლებების შესაბამისად, უბრუნველყოთ ვებ-გვერდის მეშვეობით ჯავშნის დეტალებში ცვლილების შეტანა, ჯავშნის გადატანა ან ჯავშნის გაუქმება.

4.4. თქვენ ვალდებული ხართ სხვა წყაროდან მიღებული ყველა შეკვეთა ასახოთ ჩვენი ვებ-გვერდის განრიგში, რათა მობილურ აპლიკაციაში სწორად იქნეს მითითებული დაწესებულების თავისუფალი დროები და არ მოხდეს ერთსა და იმავე დროს ჩაწერები.

5. მომსახურებები

- 5.1.** ჩვენს ვებ-გვერდზე რეგისტრაციის მომენტში, ისევე როგორც ვებ-გვერდით სარგებლობის მთელი დროის განმავლობაში, თქვენ ვებ-გვერდზე განათავსებთ (საჭიროების შემთხვევაში განაახლებთ) ინფორმაციას თქვენი მომსახურებების შესახებ. ინფორმაცია, რომელსაც თქვენ უთითებთ არის: მომსახურებათა კატეგორიები, ქვე-კატეგორიები, მომსახურების ხანგრძლივობა, მომსახურების საფასური და მომსახურების გამწვევი სპეციალისტი. ვებ-გვერდზე თქვენს მომსახურებებთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია აისახება მობილურ აპლიკაციაში.
- 5.2.** მომსახურებების საფასური შესაძლოა მოცემული იყოს როგორ ერთი კონკრეტული თანხა, ან სანყისი თანხა (დან), რომლის საბოლოო ღირებულება დამოკიდებულია მომსახურების სპეციფიკაზე (მაგალითად, მომსახურების განწვევის დროს გამოყენებული პროდუქციის ხარისხზე, რომელსაც ადგილზე ირჩევს მომხმარებელი და ა.შ.). სანყისი თანხის მითითების შემთხვევაში, გადასახდელი თანხის ოდენობის საბოლოო დაანგარიშება და დაკონკრეტება მოხდება თქვენ მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების განწვევის შემდეგ.

6. ანგარიშსწორება მომხმარებელსა და დანესებულებას შორის

- 6.1.** მობილური აპლიკაციის მომხმარებელსა და თქვენ შორის ანგარიშსწორება ხდება თქვენი მხრიდან მომხმარებლისთვის მომსახურების განწვევის შემდგომ.
- 6.2.** აპლიკაციის მომხმარებელი ჯავშნის გაკეთების მომენტში ირჩევს გადახდის მეთოდს - აპლიკაციით გადახდა, ან ადგილზე გადახდა. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მომსახურების მიღების შემდეგ შეცვალოს გადახდის მეთოდი და ანგარიშსწორება მოახდინოს ალტერნატიული გზით.
- 6.3.** მომსახურების განწვევის შემდეგ, თქვენ დაასრულებთ შეკვეთას და მიუთითებთ იმ გადახდის მეთოდს, რა მეთოდითაც ისურვა მომხმარებელმა ანგარიშსწორება - ადგილზე გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ადგილზე გადახდა ბარათით, მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადახდა, ვაუჩერი.
- 6.4.** იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელს გადახდის მეთოდად არჩეული აქვს აპლიკაციით გადახდა და არ ცვლის გადახდის მეთოდს, მაშინ თქვენ შეკვეთის დასრულების დროს ვებ-გვერდის შესაბამის ველში უთითებთ გადასახდელ თანხას (თუკი არის თანხის დაკონკრეტების საჭიროება, როგორც ეს მე-5 მუხლის 5.2. პუნქტშია აღწერილი), გადახდის მეთოდად უთითებთ აპლიკაციით გადახდას (ახდენთ ტრანზაქციის ინიცირებას), რის შემდეგაც, შესაბამისი თანხა ავტომატურად ეჭრება მომხმარებელს აპლიკაციაში წინასწარ მითითებული ბარათიდან. იმ შემთხვევაში, თუკი ბარათზე არ აღმოჩნდა საკმარისი თანხა, ან არსებობს რაიმე სხვა მიზეზი, რის გამოც ვერ განხორციელდა ტრანზაქცია, თქვენ ვებ-გვერდი ავტომატურად გატყობინებთ ამის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოხერხდა ტრანზაქციის განხორციელება, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ შეცვალოთ გადახდის მეთოდი და სხვა გზით მოახდინოთ კლიენტთან ანგარიშსწორება.
- 6.5.** აპლიკაციის მეშვეობით ელექტრონული გადახდების ფუნქცია გააქტიურდება აპლიკაციის ოფიციალური გაშვების დღიდან 2 (ორ) თვეში.

7. თანხის უკან დაბრუნების პოლიტიკა

- 7.1.** აპლიკაციაში მითითებული ბარათიდან ჩამოჭრილი თანხა უკან უბრუნდება აპლიკაციის მომხმარებელს, თუ:
- მომსახურების მიღების შემდეგ, მან სხვა მეთოდით გადაიხადა მომსახურების საბლანო და აპლიკაციის მეშვეობით თანხის ჩამოჭრა არასწორად იქნა ინიცირებული თქვენ მიერ;
 - მომსახურების მიღების გარეშე აპლიკაციის მეშვეობით თანხის ჩამოჭრა არასწორად იქნა ინიცირებული თქვენ მიერ;
 - მომსახურების მიღების შემდეგ, არასწორი თანხის ჩამოჭრა (მომსახურების საფასურზე მეტი თანხა) იქნა ინიცირებული თქვენ მიერ.
- 7.2.** აპლიკაციაში მითითებული ბარათიდან ჩამოჭრილი თანხის უკან დაბრუნება არ ხდება თუკი არ არსებობს 7.1. პუნქტში მითითებული რომელიმე საფუძველი და ეს ტრანზაქცია განხორციელდა გვიანი გაუქმების, ან დაწესებულებაში არ მისვლის საფუძველით, როგორც ეს მე-8 მუხლშია აღწერილი.
- 7.3.** თქვენი ბრალეულობით მომხმარებლის ბარათიდან თანხის არასწორად ჩამოჭრის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ მე-10 მუხლში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და შეგვატყობინოთ თანხის უკან დაბრუნების საფუძველი.

8. ჯავშნის გაუქმება, გვიანი გაუქმება და დაწესებულებაში არ მისვლა

- 8.1.** აპლიკაციის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა აპლიკაციის მეშვეობით გააუქმოს ჯავშანი ჩანერის დროის ათვლამდე ნებისმიერ დროს იმ შემთხვევაში, თუკი ვერ ახერხებს, ან აღარ სურს აპლიკაციით დაჯავშნილი სერვისის მიღება. დაწესებულებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებელს აქვს ვალდებულება ჯავშანი გააუქმოს ჩანერის დრომდე სულ მცირე ერთი საათით ადრე. ჯავშნის ჩანერის დრომდე ბოლო ერთ საათზე ადრე გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებელს არ ეკისრება არანაირი ფინანსური ვალდებულება დაწესებულების წინაშე.
- 8.2.** თუკი მომხმარებელი ჯავშანს გააუქმებს ჩანერის დრომდე ბოლო ერთი საათის განმავლობაში, მას შესაძლოა დაეკისროს დაჯავშნილი მომსახურების ღირებულების 5%-ის გადახდა თქვენთვის და შესაბამისი თანხა ავტომატურად ჩამოეჭრება მობილურ აპლიკაციაში მის მიერ მითითებული ბარათიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც დაჯავშნილ მომსახურებას არ აქვს მითითებული ფიქსირებული ღირებულება, და საჭიროებს მომსახურების მიღების შემდგომ დაკონკრეტებას/დაანგარიშებას, მომხმარებელს შესაძლოა დაეკისროს აღნიშნული მომსახურებისთვის მითითებული სანყისი თანხის (დან) 5%-ის გადახდა და შესაბამისი თანხა ავტომატურად ჩამოეჭრება მობილურ აპლიკაციაში მის მიერ მითითებული ბარათიდან.
- 8.3.** თუკი მომხმარებელი არ მივა დაწესებულებაში, რომლის მომსახურებაც დაჯავშნა მობილური აპლიკაციის მეშვეობით, და არც გააუქმებს ჯავშანს ჩანერის დრომდე, ისე, როგორც ეს ამ მუხლის 8.1. და 8.2. პუნქტებშია აღწერილი, მას შესაძლოა დაეკისროს დაჯავშნილი მომსახურების ღირებულების 15%-ის გადახდა თქვენთვის და შესაბამისი თანხა ავტომატურად ჩამოეჭრება მობილურ აპლიკაციაში მითითებული ბარათიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც დაჯავშნილ მომსახურებას არ აქვს მითითებული ფიქსირებული ღირებულება, და საჭიროებს მომსახურების

მიღების შემდგომ დაკონკრეტებას/დაანგარიშებას, მომხმარებელს შესაძლოა დაეკისროს აღნიშნული მომსახურებისთვის მითითებული სანყისი თანხის (დან) 15%-ის გადახდა თქვენთვის და შესაბამისი თანხა ავტომატურად ჩამოეჭრება მობილურ აპლიკაციაში მითითებული ბარათიდან.

8.4. აპლიკაციის მომხმარებლისთვის გვიანი გაუქმებების, ან დაწესებულებაში არ მოსვლის გამო შესაბამისი %-ის ჩამოჭრის ინიცირებას ახდენთ თქვენ ვებ-გვერდის მეშვეობით. გვიანი გაუქმების, ან დაწესებულებაში კლიენტის არ მოსვლის შემთხვევაში, თქვენ უნდა მოახდინოთ შესაბამისი მიმდინარე შეკვეთის რედაქტირება, შეკვეთის სტატუსში მიუთითოთ შესაბამისი რეზულტატი (გვიანი გაუქმება, არ მოვიდა) და დააჭიროთ დამახსოვრებას. შეკვეთის სტატუსში „გვიანი გაუქმების“ ან „არ მოვიდას“ არჩევის შემთხვევაში, თქვენ ავტომატურად ახდენთ კლიენტის ბარათიდან შესაბამისი %-ის ჩამოჭრის ინიცირებას. თქვენ ასევე გაქვთ შესაძლებლობა არ დააკისროთ კლიენტს გვიანი გაუქმებისთვის, ან დაწესებულებაში არ მოსვლისთვის მომსახურების ღირებულების შესაბამისი პროცენტის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ არ გსურთ დააკისროთ კლიენტს ზემოხსენებული თანხის გადახდა, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ შეკვეთის სტატუსში აირჩიოთ სტატუსი „გაუქმებული“, რა შემთხვევაშიც კლიენტს არ ეკისრება თანხის გადახდა.

9. ფორს-მაჟორი

ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას წინამდებარე წესებითა და პირობებით ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან ამ ვალდებულებების შესრულების შეფერხების გამო, თუკი ასეთი შეუსრულებლობა, ან შესრულების შეფერხება გამომწვეულია ჩვენს კონტროლს მიღმა არსებული ფორს-მაჟორული მოვლენებით ან სიტუაციით. ფორს-მაჟორი, მათ შორის, მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- გაფიცვები, საპროტესტო აქციები და/ან სხვა ინდუსტრიული ღონისძიებები;
- სამოქალაქო რევოლუციები, არეულობები, ტერორისტული თავდასხმები, ან ტერორისტული თავდასხმის ან ომის მუქარა, ომის წარმოებისთვის მზადება ან მუქარა;
- ხანძარი, აფეთქებები, შტორმი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ეპიდემიები და სტიქიური უბედურებები;
- მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები.

10. ჩვენთან დაკავშირება

შპს „ბი ელი“ მზადაა მიიღოს თქვენი შეკითხვები და კომენტარები წინამდებარე წესებთან და პირობებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: support@beautylab.ge; [Hello@beautylab.ge](mailto>Hello@beautylab.ge)

